ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა
შპს-წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯში
განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის
შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: შორენა ჯაფარიძე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცის ექსპერტი
წევრი: ქეთევან გელაშვილი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს - წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: კერძო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 404903565

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

II. მონიტორინგის სახე:

■ გეგმიური

☐ არაგეგმიური

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
• მცირე ბიზნესის მწარმოებელი IV საფეხური (020360)	15	0	0
• კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი) III საფეხური (060451)	30	0	0
3. კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი) IV საფეხური (060451)	20	0	3

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019

4.კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი) V საფეხური (060451)	20	0	0
5. ოფისის მენეჯერი III საფეხური (020356)	25	0	0
6. ბუღალტერი III საფეხური (020151)	20	0	0
7. კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი - III საფეხური (040154)	20	0	1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2019 წლის 30 აგვისტოს №772 ბრძანების საფუძველზე შექმნილმა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცის ექსპერტთა ჯგუფმა (ჯგუფის თავმჯდომარე - შორენა ჯაფარიძე, ჯგუფის წევრი ქეთევან გელაშვილი) განახორციელა გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი 2019 წლის 3 და 4 სექტემბერს შპს-წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯში მისამართზე: თბილისი, ალ.ყაზბეგის N47.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტი განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით, რომელიც, ბრძანებასთან ერთად წარედგინა დაწესებულებას- უშუალოდ ვიზიტის დაწყების წინ.(**დანართი 1**).

ვიზიტის პირველ დღეს, 3 სექტემბერს, მოხდა გასაუბრება დაწესებულების ხელმძღვანელთან, მის მოადგილესთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებთან.

განხორციელდა დაწესებულებაში საქმისწარმოების, გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვის პრაქტიკის შემოწმება; პროფესიული სტუდენტის, მათ შორის არასრულწლოვანი სტუდენტების, სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების წესების, სტუდენტებთან დადებული ხელშეკურებების პრაქტიკული განხორციელების მაგალითების შემოწმება; საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების პრაქტიკული განხორციელების მაგალითების შემოწმება. ვებგვერდისა და კატალოგის შემოწმება; პერსონალის, მათ შორის პროფესიული მასწავლებლების, საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამსახურში აყვანის წესისა და პროცედურების, დადებული ხელშეკრულებების კანონმდებლობის მოთხოვნებთან და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობებთან შესაბამისობის შემოწმება და სხვა.

ვიზიტის მეორე დღე, 4 სექტემბერი, დაეთმო დაწესებულების ინფრასტრუქტურის, საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის არსებული გარემოს, ბიბლიოთეკის შემოწმებას, ასევე პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მექანიზმების პრაქტიკული განხორციელების შეფასებას. ექსპერტებმა ასევე განახორციელეს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის, სტრატეგიული განვითარების გეგმის და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019

სამოქმედო გეგმის შესრულებისა და შეფასების პრაქტიკის შემოწმება; რეესტრის წარმოების პრაქტიკის შემოწმება; საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემის პრაქტიკული განხორციელების მაგალითების შემოწმება. პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მტკიცებულებების (ხელშეკრულებები, პროფესიულ სტუდენტთა დღიური და სხვა) შემოწმება. დაწესებულებაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოყენების შემოწმება. ასევე რეესტრის წარმოების პრაქტიკის შემოწმება;

პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება არ განხორციელებულა, ვინაიდან დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, სასწავლო პროცესი მათთან დასრულდა, აქტიური სტატუსი პროფესიული სტუდენტები არ არიცხება, ახალი სტუდენტების მიღება არსებულ საგნობრივ პროგრამებზე არ განხორციელდება.

ყოველი დღის ბოლოს ხდებოდა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შეჯამება/შეჯერება.

სამუშაო ვიზიტის ბოლოს ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულებას გააცნო შეფასების პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

V. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		მუხლი 6	☐	■
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	მუხლი 6 / პუნქტი ა)	■	☐
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების,	მუხლი 6 / პუნქტი ბ)	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019

	მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;			
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	☐
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☐	■
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	☐
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☐	■
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☐	■
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☐	■
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	☐	■
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	☐	■
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	☐
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☐	■
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☐	■
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 /**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019

		პუნქტი ე)		
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	მუხლი 7 / პუნქტი ვ)	☐	■
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)	☐	■
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)	☐	■
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)	☐	■
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)	■	☐
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	მუხლი 7 / პუნქტი ზ)	☐	☐
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	მუხლი 7 / პუნქტი თ)	☐	■
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	მუხლი 7 / პუნქტი ი)	☐	■
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	☐
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	☐
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	☐

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019

VII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი 1 - ქვესტანდარტი 1.4.

- *დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, ასევე მიღებული განათლების აღიარების პროცედურების განხორციელებისას, პროფესიული სტუდენტების შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში მონაცემების შეტანა ხდება წესების დარღვევით, კერძოდ დარღვეულია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისი №127/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესი“ (მუხლი 4, პუნქტი 2), და დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 8 მაისის N01/009 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, ასევე დირექტორის 2018 წლის 8 ოქტომბრის N02/007 ბრძანებით 2018-2019 სასწავლო წელს ჩარიცხული ერთი პროფესიული სტუდენტი საერთოდ არ არის დაფიქსირებული რეესტრში არანაირი სტატუსით.*

***ხარვეზი 2-* ქვესტანდარტი 1.6.**

- *დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე (პროფესიულ სტუდენტთა კითხვარები, კურსდამთავრებულთა კითხვარი და სხვა) არ დასტურდება, რომ დაწესებულებაში დანერგილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.*

ხარვეზი 3- ქვესტანდარტი 2.1. ა)

- *შპს-წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯი 2018 წლის 10 ოქტომბრიდან დღემდე სასწავლო პროცესს ახორციელებს, იმ ფართზე სადაც ავტორიზაცია არ გაუვლია ვინაიდან შეიცვალა ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ივლისის N16 გადაწყვეტილებებით განსაზღვრული ფართი (ალ.ყაზბეგის N47, მეორე სართული) და გადავიდა იგივე შენობის მეექვსე სართულზე, ხოლო ფართის შეცვლის თაობაზე არ აცნობა ცენტრს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერის Nბრძანება №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების და საფასურის", მუხლი 302 „ავტორიზაციის პერიოდში ცენტრის ინფორმირების წესებით" დადგენილ ვადებში.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019

ხარვეზი 4 ქვესტანდარტი 2.1. ა)

- *შპს-წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ 2018 წლის 10 ოქტომბერს შპს საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ საბაკალავრო კოლეჯთან დადებული იჯარის ხელშეკრულება,რომელიც ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში,რითიც დარღვეულია რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, მე-5 პუნქტი, რომლის შესაბამისად, კერძო სამართლის იურიდიული პირის მონაწილეობით 1 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლებების წარმოშობისათვის აუცილებელია მათი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული ხელშეკრულებით ვერ დასტურდება იჯარის უფლება და ის ვერ ჩაითვლება ფართის ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტად.*

ხარვეზი 5: ქვესტანდარტი 2.1. ბ)

- *დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით კერძოდ: წმიდა ილია მართლის თბილისის ეროვნული სასწავლო უნივერსიტეტთან 2014 წლის 17 ივლისს გაფორმებული მატერიალური რესურსის თხოვების ხელშეკრულებით და 2018 წლის 12 ოქტომბერს საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით არ დასტურდება ამ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის ფლობა და სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი.*

ხარვეზი 6 ქვესტანდარტი 2.3.

- *დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალებით ვერ დასტურდება, საბიბლიოთეკო ფონდში არსებული ლიტერატურის ჩამონათვალი, ბიბლიოთეკის ფონდის (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურასთან.*

ხარვეზი 7: ქვესტანდარტი 2.4.

- *დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, არ დასტურდება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობა, შესაბამისად ქვესტანდარტის*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019

მოთხოვნა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში ვერ შეფასდება დადებითად.

ხარვეზი 8: ქვესტანდარტი 2.6.

- *დაწესებვიზუალური დათვალიერებისა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე არ დასტურდება ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების არსებობა, კერძოდ ევაკუაციის გეგმა არ არის შემუშავებული და დამტკიცებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ; არ არის მოწყობილი სამედიცინო ოთახი/კუთხე, გამოყოფილი სამედიცინო პერსონალი.*

ხარვეზი 9: ქვესტანდარტი 2.8.

- *დაწესებულების ვებგვერდი არ არის განახლებადი, ბოლო ინფორმაცია 2 წლის წინ არის დაფიქსირებული, ვებგვერდზე წარმოდგენილი ინფორმაცია, თარიღის მითითების გარეშე, კოლეჯში საგნობრივ პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების შესახებ, არის მცდარი და შეცდომაში შემყვანი.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თბილისი, 2019

VIII. რეკომენდაციების შეჯამება

<u>ქვესტანდარტი 2.9</u>

1) **რეკომენდებულია**, რომ გადაიხედოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი იყოს სამუშაოების შესრულების ვადები, საჭირო რესურსები, პასუხისმგებელი პირები და ინდიკატორები. გეგმებში წარმოდგენილი იყოს დაგეგმილი სამუშაოების შეფასების მეთოდოლოგია დაშემუშავდეს სამოქმედო გეგმების შესრულების წლიური ანგარიშები.

<u>ქვესტანდარტი 3.1</u>

2) **რეკომენდებულია,** რომ დაწესებულებამ გაწეროს ადმინისტრაციული პერსონალის მიმართ საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
3) **რეკომენდებულია,** რომ გადაიხედოს პერსონალის პირადი საქმეები და შეივსონ საჭირო დოკუმენტებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019

IX. სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს-წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯი (შემდგომში- დაწესებულება) წარმოადგენს ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელსაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ივლისის N16 მიენიჭა 7 (შვიდი) პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი (საგნობრივი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება და განესაზღვრა პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 150-ით. ეს პროგრამებია: მცირე ბიზნესის მწარმოებელი IV საფეხური (კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი) III საფეხური; კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი) IV საფეხური; კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი) V საფეხური; ოფისის მენეჯერი III საფეხური; ბუღალტერი III საფეხური; კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი - III საფეხური. აღნიშნული პროგრამები პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს (საგნობრივ პროგრამებს) მიეკუთვნება. ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 4 ივნისის N115 გადაწყვეტილებებით განისაზღვრა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა თითოეულ პროგრამაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019

ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ აღნიშნულ პროგრამებზე სასწავლო პროცესი დასრულდა 2019 წლის ივნისში, ამ ეტაპზე დაწესებულებაში აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი არ ირიცხება. ისინი არ აპირებენ საგნობრივი პროგრამებით პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას, გეგმავენ მოდულური პროგრამების დანერგვას, ახორციელებენ შრომის ბაზრის კვლევას, რათა გამოკვეთონ პრიორიტეტული მიმართულებები და წლის ბოლომდე აპირებენ პროგრამების დამატების შესახებ განაცხადის შეტანას. <u>რაიმე სახის მტკიცებულება შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით, წარმოდგენილი არ იყო.</u>

პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 39, პუნქტი 1² -ის შესაბამისად, ამ ეტაპზე დაწესებულება უფლებამოსილი არ არის ჩარიცხოს ახალი პროფესიული სტუდენტები აღნიშნულ პროგრამაზე, თუმცა შეუძლია ამ პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს, (მაგალითად მობილობით გადმოსულს, სტატუსაღდგენილს) სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს კვალიფიკაცია 2021 წლის 31 დეკემბრამდე. როგორც შემდგომში გაირკვა, დაწესებულებაში არის სტატუსშეჩერებული ოთხი პროფესიული სტუდენტი, ასევე არსებობს მობილობით პროფესიული სტუდენტების გადმოსვლის შესაძლებლობა, შესაბამისად, არსებობს თეორიული შანსი, რომ დაწესებულებაში საგნობრივი პროგრამებით სწავლება განახლდება.

აღნიშნული არგუმენტების გათვალისწინებით, ექსპერტებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ შეემოწმებინათ პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი (საგნობრივი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების გადამოწმებამ აჩვენა, რომ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, პროფესიული განათლების საფეხური, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა კრედიტებსა და საათებში, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების ენა, პროგრამაზე მიღების წინაპირობა პროფესიული პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგი, სწავლის შედეგების რუქა, სასწავლო გეგმა, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა), პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება, სწავლის მეთოდები, სწავლების ფორმები, ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, პრაქტიკის ობიექტების ჩამონათვალი, დასაქმების სფერო, სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ, ასევე სასწავლო კურსების გადანაწილება კვირების მიხედვით. პრაქტიკული და თეორიული კომპონენტების თანაფარდობა შესაბამისობაშია პროფესიული სტანდარტებით დადგენილ ნორმებთან. თითოეულ პროგრამას თან ერთვის შესაბამისი სილაბუსები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019

წარმოდგენილ პროგრამებში თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს შორის პროცენტული თანაფარდობა შეესაბამება შესაბამისი პროფესიული სტანდარტების მოთხოვნებს.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს აქვთ თანმიმდევრული სტრუქტურა. პროგრამებში მოცემული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“.
პროგრამებს თან ერთვის სასწავლო კურსების სილაბუსები. სილაბუსებში მოცემულია: სასწავლო კურსის დასახელება, სასწავლო კურსის სტატუსი და საფეხური, პროფესიული პროგრამის სახელწოდება, სასწავლო კურსის ხანგრძლივობა, მისი მოცულობა კრედიტებსა და საათებში, პროფესიული მასწავლებლის საკონტაქტო ინფორმაცია, შესწავლის წინაპირობა, სასწავლო კურსის სწავლების/სწავლის ფორმატი, სასწავლო კურსის მიზანი, სასწავლო კურსის შინაარსი, სასწავლო კურსის თემატიკა კვირების მიხედვით,სტუდენტის მიღწევების შეფასების კრიტერიუმები, სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა, ლიტერატურის ხელმისაწვდომობა, სასწავლო რესურსი, სწავლის შედეგები და კომპეტენციები.

ექსპერტებმა გადაამოწმეს ასევე საწარმო პრაქტიკის განხორციელების მაგალითები და მათი შესაბამისობა დაწესებულების მიერ დადგენილ წესებთან, კერძოდ დირექტორის 2017 წლის 8 მაისის N01/009 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებულ დოკუმენტთან „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, თავი 2, მუხლი 6. „საწარმოო პრაქტიკის შესრულება და შეფასება“. აღიშნული წესების პრაქტიკული განხორციელების დასადასტურებლად დაწესებულებამ *<u>წარმოდგენილი იყო ხელშეკრულებები და მხოლოდ ერთი პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის დღიური, რომელიც არ იყო სრულად შევსებული, არ ირკვევა პრაქტიკის განხორციელების პერიოდი, ასევე არ არის წესებით გათვალისწინებული დახასიათება, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს მენტორის ხელმოწერით და პრაქტიკის ობიექტის ბეჭდით, დასკვნითი შეფასების შედეგები.</u>*
(დანართი 2)
დაწესებულების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტაციის და მტკიცებულებების ნაწილი წარმოადგენილი არ იყო (მაგალიტად, ცხრილები, სტუდენტების აღრიცხვის ჟურნალები და სხვა), იმ მოტივით, რომ მიმდინარეობს რემონტი და დოკუმენტების მოძიება ვერ ხერხდება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019

- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (დამტკიცებულია დირექტორის 2017 წლის 8 მაისის N01/009 ბრძანებით);
- პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი (საგნობრივი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- დანართი 2 –„პროფესიული სტუდენტის საწარმო პრაქტიკის დღიური.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა- „კატალოგი 2017“ წლის. კატალოგი განთავსებულია ვებგვერდზე, რომლის მისამართია -http://iliacollege.ge/ კატალოგში წარმოდგენილია ინფორმაცია წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის შესახებ, მისამართი, კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, დაშვების წინაპირობები, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები, სწავლის შედეგები, კრედიტებისა და შეფასების წესი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2017;
- დაწესებულების ვებგვერდი http://iliacollege.ge/.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და შემდეგ პროფესიულ სტანდარტებს, კერძოდ:

- მცირე ბიზნესის მწარმოებელის პროფესიული სტანდარტი (020360);
- კრიმინალისტის პროფესიული სტანდარტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი) (060451);
- ოფისის მენეჯერის პროფესიული სტანდარტი (020356);
- ბუღალტერისპროფესიული სტანდარტი (020151);
- კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი (040154).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამის პროფესიულ სტანდარტებთან და პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან შედარება.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში შემუშავებულია დირექტორის 2017 წლის 8 მაისის N01/009 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელის სხვადასხვა ნაწილებში წარმოდგენილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები, კერძოდ:

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება;
მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პირობები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მუხლი 8. პროფესიული სტუდენტის რეგისტრაცია;
მუხლი 9. სასწავლო ხელშეკრულება კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის;
მუხლი 10. პროფესიულ სტუდენტთა მობილობა;
მუხლი 11.სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება;
მუხლი 12. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება;
მუხლი 16. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება;
მუხლი 17. პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტა;
მუხლი19. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება;
მუხლი 21. კვალიფიკაციის მინიჭება;
მუხლი 22. დიპლომი/მოწმობა/სერტიფიკატი.

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში წარმოდგენილი წესები ეხება როგორც საგნობრივ, ასე მოდულური პროგრამებს.

ექსპერტემბა გადაამოწმეს პროფესიული სტუდენტის, მათ შორის არასრულწლოვანი სტუდენტების, სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების პროცედურების პრაქტიკული განხორციელება და მათი შესაბამისობა დაწესებულების მიერ დადგენილ წესებან.
აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ 2018-2019 სასწავლო წელს (ბოლო ჩარიცხვა) ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მონაცემები, სხვა მონაცემები არ იყო წარმოდგენილი იმ მოტივით, რომ მიმდინარეობს რემონტი და დოკუმენტაციის მოძიება შეუძლებელია.

დოკუმენტების გადამოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:
დირექტორის 2018 წლის 8 ოქტომბრის N02/007 ბრძანების შესაბამისად კოლეჯში 19 პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხა (დანართი 3). პროგრამებს მიხედვით პროფესიული სტუდენტები შემდეგნაირად გადანაწილდნენ:

- კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი) IV საფეხური - 8 პროფესიული სტუდენტი;
- ოფისის მენეჯერი III საფეხური - 4 პროფესიული სტუდენტი;
- ბუღალტერი III საფეხური - 3 პროფესიული სტუდენტი;
- კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი III საფეხური - 4 პროფესიული სტუდენტი.

პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურის შემოწმების მიზნით, განხილული იყო რამდენიმე, მათ შორის არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე. არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში განცხადება დამოწმებულია მშობლის მიერ, პირად საქმეში განთავსებულია მშობლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ სტუდენტსა და დაწესებულებას შორის ფორმდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019

სასწავლო ხელშეკრულება, რომლის აუცილებელი რეკვიზიტები დაწესებულებას გაწერილი აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. წესი ითვალისწინებს ხელშეკრულებებში ჩანაწერს: „მხარეთა ურთიერთმოვალეობები და პასუხისმგებლობა პირობების შეუსრულებლობისათვის“, რომელიც სტუდენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებული არ არის. არასრულწლოვანთან ხელშეკრულებაში არ არის მითითებული სწავლის საფასური, ხელი მოწერილია სტუდენტის მამის მიერ.

აღსანიშნავია, რომ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის “ მე-8 მუხლის შესაბამისად „სასწავლო წლის დაწყებამდე დირექტორი ბრძანებით განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების დაწყების, სააუდიტორო მეცადინეობების, საგამოცდო პერიოდის და სწავლების დამთავრების ვადებს“. *<u>ექსპერტების მოთხოვნის მიუხედავად ასეთი ბრძანება წარმოდგენილი არ იყო.</u>*

ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამ ეტაპზე დაწესებულებაში აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი არ არის. წარმოდგენილი იყო დირექტორის 2019 წლის 30 მაისის N02/005 ბრძანება, რომლის საფუძველზე შეიქმნა „საკვალიფიკაციო-საგამოცდო კომისია 2018-2019 სასწავლო წლის სხვადასხვა სპეციალობის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის მისანიჭებლად“ და წარმოდგენილი იყო კომისიების წევრების ვინაობის მითითებით (დანართი 4). დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ კვალიფიკაციის მინიჭება განხორციელდა 2019 წლის ივნისში. თუმცა, *<u>მიუხედავად ექსპერტთა თხოვნისა, დირექტორის ბრძანება კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ან რაიმე სხვა სახის დოკუმენტი, მათ შორის საკვალიფიკაციო კომისიის ოქმი, წარმოდგენილი არ იყო.</u>*

ვიზიტის პირველ დღეს, დამტკიცებული დღის წესრიგის შესაბამისად (დანართი 1), ექსპერტები გეგმავდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მონაცემებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებების რეესტრის (შემდგომში - „რეესტრი“) მონაცემების შედარებას. დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი თბილისში არ იმყოფება, ამიტომ მონაცემების მოწოდება შეუძლებელია. ვინაიდან რეესტრის მონაცემების გადამოწმება მონიტორინგის საკვანძო საკითხს წარმოადგენდა, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული პრობლემის შესახებ აცნობა ცენტრს. ცენტრის შუამდგომლობით, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებულ იქნა ინფორმაცია, რომ 2019 წლის 3 სექტემბრის მდგომარეობით პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში *"წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯს" უფიქსირდება 24 აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019

ბოლო მიღება სისტემაში გამოცხადებულია 2018 წლის 02 ივლისს, ხოლო სწავლის პერიოდი აღნიშნული მიღებაზე განსაზღვრულია შემდეგნაირად : სწავლის დაწყება- 2018-10-08 - სწავლის დასრულება - 2019-08-05". ასევე წარმოდგენილი იყო პროფესიული სტუდენტების რაოდენობა ცალკეული პროგრამის მიხედვით (დანართი 5), კერძოდ:

- ბუღალტერი III საფეხური - 3
- კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი - III საფეხური - 3
- კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი) III საფეხური - 6
- კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი) IV საფეხური - 12.

ვიზიტის მეორე დღეს დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მოახერხეს რეესტრთან წვდომა. და შეიტანეს ახალი ინფორმაცია. თუმცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №127/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის" მუხლი 4, პუნქტი 2 შესაბამისად და ასევე ზემოაღნიშნული „საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მუხლი 7 პუნქტი 4-ის მიხედვით რეესტრში სტუდენტების შესახებ მონაცემების შეტანა დაწესებულებამ აქტის გამოცემიდან 5 დღის ვადაში უნდა განახორციელოს. ამ შემთხვევაში რეესტრში მონაცემების დაფიქსირება რამდენიმე თვის დაგვიანებით მოხდა.

რეესტრში ასახული 2019 წლის 4 სექტემბრის მონაცემებით, დაწესებულებაში აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტები არ ირიცხება. სწავლის პერიოდში (სწავლის დაწყება- 2018-10-08 - სწავლის დასრულება - 2019-08-05) დაფიქსირებულია 14 კურსდამთავრებულის სტატუსის მქონე და 4 სტატუსშეცერებული პროფესიული სტუდენტი. სულ 18 პროფესიული სტუდენტი (დანართი 6), მაშინ როდესაც დირექტორის დირექტორის 2018 წლის 8 ოქტომბრის N02/007 ბრძანების შესაბამისად კოლეჯში 19 პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხა (დანართი 3). კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი III საფეხურის პროგამაზე 2018-2019 სასწავლო წელს ჩარიცხული ერთი პროფესიული სტუდენტი რეესტრში არცერთი სტატუსით არ ფიგურირებს.
რეესტრში ასახული 2019 წლის 4 სექტემბრის მონაცემებით, კურსდამთავრებულის სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტები პროგრამების მიხედვით გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი) IV საფეხური - 5 პროფესიული სტუდენტი;
- ოფისის მენეჯერი III საფეხური - 4 პროფესიული სტუდენტი;
- ბუღალტერი III საფეხური - 3 პროფესიული სტუდენტი;
- კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი - III საფეხური - 2 პროფესიული სტუდენტი.

სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების პროგრამების მიხედვით გადანაწილება შემდეგია:

- კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი) IV საფეხური - 3პროფესიული სტუდენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019

- კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი - III საფეხური - 1 პროფესიული სტუდენტი.

როგორც ვხედავთ, რეესტრის 03.09.2019 და 04.09.2019 მონაცემებში ერთიდაიგივე დროის მონაკვეთში (სწავლის დაწყება- 08.10.2018 - სწავლის დასრულება - 05.08.2019) განსხვავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებია დაფიქსირებული.

ექსპერტებმა შეამოწმეს პროფესიული სტუდენტების სტატუსის შეჩერების პროცედურა. წარმოდგენილი იყო დირექტორის 2019 წლის 1 აპრილის N02/001 ბრძანება, რომლის საფუძველზე კოლეჯში გამოუცხადებლობის, სწავლის საფასურის გადაუხდელობის და სასწავლო პროგრამის შეუსრულებლობისთვის სტატუსი შეუჩერდა კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) IV საფეხურის 3 პროფესიულ სტუდენტს და კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის პროგრამის III საფეხურის 2 პროფესიულ სტუდენტს. (დანართი 7).

არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების, პროფესიულ სტუდენტთა მობილობის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურები დაწესებულებაში არ განხორციელებულა.
რაც შეეხება კვალიფიკაციის მინიჭების და დიპლომის გაცემის პროცედურებს, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, 2018-2019 სასწავლო წელს ჩარიცხული სტუდენტებისთვის დიპლომი არ გადაუციათ, ხოლო წინა წლების მასალები არ იყო წარმოდგენილი.

ხარვეზი 1:

- *<u>დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, ასევე მიღებული განათლების აღიარების პროცედურების განხორციელებისას, პროფესიული სტუდენტების შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში მონაცემების შეტანა ხდება წესების დარღვევით, კერძოდ დარღვეულია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისი №127/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესი“ (მუხლი 4, პუნქტი 2), და დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 8 მაისის N01/009 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, (მუხლი 7), ასევე დირექტორის 2018 წლის 8 ოქტომბრის N02/007 ბრძანებით 2018-2019 სასწავლო წელს ჩარიცხული ერთი პროფესიული სტუდენტი საერთოდ არ არის დაფიქსირებული რეესტრში არანაირი სტატუსით.</u>*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თბილისი, 2019

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (დამტკიცებულია დირექტორის 2017 წლის 8 მაისის N01/009 ბრძანებით);
- დანართი 3 – „დირექტორის 2018 წლის 8 ოქტომბრის N02/007 ბრძანება კოლეჯში პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ;
- დანართი 4 - დირექტორის 2019 წლის 30 მაისის N02/005 ბრძანება, რომლის საფუძველზე შეიქმნა „საკვალიფიკაციო-საგამოცდო კომისია 2018-2019 სასწავლო წლის სხვადასხვა სპეციალობის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის მისანიჭებლად“
- დანართი 5 - რეესტრის მონაცემები (03.09.2019 წლის მდგომარეობით);*
- დანართი 6 - რეესტრის მონაცემები (04.09.2019 წლის მდგომარეობით);
- დანართი 7 - დირექტორის 2019 წლის 1 აპრილის N02/001 ბრძანება პროფესიული სტუდენტებისთვის სტატუსის შეჩერების შესახებ;
- პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები;
- დაწესებულების წარმომადგენლების ინტერვიუირება.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები აღწერილია დირექტორის 2017 წლის 8 მაისის N01/009 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, მუხლი 18-ში. „მოდულური პროგრამების ფარგლებში პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის და საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თბილისი, 2019

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით და წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, აღნიშნული მექანიზმები პრაქტიკაში არ განხორციელებულა. შიდა და გარე მობილობის შემთხვევები დაწესებულებაში არ დაფიქსირებულა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (დამტკიცებულია დირექტორის 2017 წლის 8 მაისის N01/009 ბრძანებით);
- დაწესებულების წარმომადგენლების ინტერვიუირება.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულებაში სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საქმიანობის ხელმძღვანელობასა და კოორდინირებას ახორციელებს დაწესებულების ერთ-ერთი ძირითადი სტრუქტურული ერთეული - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

დაწესებულებაში შემუშავებულია „სასწავლო პროცესის შეფასების დებულება“, (დამტკიცებულია კოლეჯის დამფუძნებელ პარტნიორთა სხდომაზე, ოქმი №1, ივლისი, 2011), რომლის მიზანია „წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების, მათ განხორციელებაში მონაწილე პერსონალის შესაბამისობის დადგენა საქართველოს კანონმდებლობასთან, კოლეჯის მისიასა და მიზნებთან, ასევე საზოგადოების მოთხოვნებთან“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019

დებულების შესაბამისად სასწავლო პროცესის შეფასების კომპონენტებს წარმოადგენს:

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სასწავლო მასალები;
- სწავლების მეთოდები;
- სასწავლო პროცესის მართვა და მონიტორინგი.

შეფასებას ექვემდებარება:

- კოლეჯის ძირითადი სტრუქტურული ერთეულები;
- სასწავლო პროცესში დასაქმებული პერსონალი;
- კოლეჯში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები.

ზემოაღნიშნული დებულების მიხედვით, კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სტრუქტურული ერთეულებისა და პერსონალის, აგრეთვე პროგრამების შეფასებას, რისთვისაც გამოიყენებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრების ანალიზს, ახდენს სტუდენტებისა და დამსაქმებლის მიერ აკადემიური პერსონალისა და საგანმანთლებლო პროგრამების ეფექტურობის შეფასებას. თავის მხრივ, სტრუქტურული ერთეული და პერსონალი ვალდებულია მოახდინოს თვითშეფასება, თვითშეფასების ჩატარების შემდეგ, სრუქტურული ერთეული მოვალეა სასწავლო-მეთოდურ საბჭოს წარუდგინოს ანგარიში ყოველწლიურად გაწეული სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

ექსპერტების აზრით, დოკუმენტში გამოყენებული ცალკეული ტერმინები მაგალითად, აკადემიური პერსონალი, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ნაწილი უფრო უმაღლესი განათლების სისტემის შესაფერისია და ნაკლებად ასახავს პროფესიული განათლების სპეციფიკას. ასე მაგალითად, ექსპერტებმა გაანალიზეს თუ როგორ ხდება „სასწავლო პროცესის შეფასების დებულებაში“ გაწერილი პროცესების და პროცედურების პრაქტიკული განხორციელება. დაწესებულების წარმომადგენლებმის ინფორმაციით რეგულარულად ტარდება პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა, მეცადინეობაზე დასწრება, მიღებული შედეგების ანალიზი და შემდგომ რეკომენდაციების შემუშავება. აღნიშნული ფაქტების დასადასტურებლად დაწესებულებამ წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტები (დანართი 8):

1) პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების კითხვარი;
2) კურსდამთავრებულის კითხვარი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თბილისი, 2019

3) ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელის დასკვნა პროფესიულ სტუდენტთა კითხვარებზე.

პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების კითხვარში არ არის მითითებული პროგრამის დასახელება, შევსების თარიღი, მასწავლებლის ვინაობა, მეტიც კითხვარის მე-9 პუნქტში გვხდება ჩანაწერი „გთავაზობთ თუ არა აკადემია დამატებით მომსახურებას“, რაც ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ კითხვარი სხვა დაწესებულებისაა და არა კოლეჯის. ე.წ. კურსდამთავრებულის კითხვარი 11 პუნქტისგან შედგება და საერთოდ არ არის შევსებული, არ არის მითითებული კურსდამთავრებულის ვინაობა, პროგრამის დასახელება, დასაქმების ადგილი, კითხვარის შევსების თარიღი. ექსპერტების აზრით, წარმოდგენილი კითხვარების საფუძველზე შეუძლებელია ანალიზის გაკეთება და მითუმეტეს, რეკომენდაციების შემოთავაზება. მიუხედავად ამისა წარმოდგენილი იყო „ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელის დასკვნა პროფესიულ სტუდენტთა კითხვარებზე“, რომელიც ატარებს სრულიად ზოგად ხასიათს, სადაც არ არის მითითებული არც კითხვარების ანალიზის პერიოდი, პროგრამების დასახელება, გამოკითხულ სტუდენტთა რაოდენობა და სხვა საჭირო ინფორმაცია.
ექსპერტები თვლიან,რომ წარმოდგენილი დოკუმენტი არასრულყოფილია, არ არის სანდო და ვერ ჩაითვლება დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირების მატერიალურ მტკიცებულებად.

ექსპერტების აზრით, რომელიც დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისა და ფაქტობრივი დოკუმენტების განხილვის საფუძველზე ჩამოყალიბდა (უფრო სწორად დოკუმენტების არ არსებობის საფუძველზე), დაწესებულებაში საერთოდ არ ხორციელდება დებულებაში გაწერილი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, პროცესებისა და პროცედურების ნაწილი, კერძოდ:

- სტრუქტურული ერთეულის თვითშეფასება;
- პერსონალის თვითშეფასება;
- სტრუქტურული ერთეულის მიერ ყოველწლიურად გაწეული სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენა სასწავლო-მეთოდურ საბჭოზე;
- შემფასებლის მუშაობის შედეგები განხილვა;
- მიმართულების სხდომაზე;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციების დამტკიცება სასწავლო-მეთოდურ საბჭოზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019

- გამოკითხვის შედეგების ანალიზი, მათი საჯაროდ გამოქვეყნება, რეკომენდაციების წარდგენა.

ხარვეზი 2:

- *<u>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე (პროფესიულ სტუდენტთა კითხვარები, კურსდამთავრებულთა კითხვარი და სხვა) არ დასტურდება, რომ დაწესებულებაში დანერგილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.</u>*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „სასწავლო პროცესის შეფასების დებულება“, (დამტკიცებულია კოლეჯის დამფუძნებელ პარტნიორთა სხდომაზე, ოქმი №1, ივლისი, 2011):
- დანართი 8 - კითხვარები, დასკვნა პროფესიულ სტუდენტთა კითხვარებზე.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

შპს-წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ივლისის N16 გადაწყვეტილებებით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება მისამართზე: ალ.ყაზბეგის N47, <u>მეორე</u> სართულის ფართის ნაწილი ოდენობით- 500,63კვ.მ შპს „ყაზბეგი 47“თან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა 2021 წლის 31 დეკემბრამდე იყო განსაზღვრული.

ექსპერტებმა გადაამოწმეს საჯარო რეესტრში დაფიქსირებული მონაცემები და აღმოაჩინეს, რომ 2017 წლის 14 ივნისს დაწესებულებას შპს „ყაზბეგი 47-თან (ს/კ [redacted] მისამართზე: ყაზბეგის 47, მეორე სართული, დარეგისტრირებული აქვს იჯარის განახლებული ხელშეკრულება (განცხადების [redacted]). ამ ხელშეკრულების მიხედვით მიხედვით საერთო ფართის ოდენობამ შეადგენს 450 კვ.მ, აქედან 348,09 კვ.მ ოთახების ფართია, ხოლო 101,91 კვ.მ საერთო სარგებლობის ფართი. ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2021 წლის 31 დეკემბრამდე არის განსაზღვრული. (დანართი 9)

ვიზიტის მიმდინარეობისას გაირკვა, რომ 2018 წლის ოქტომბრიდან დაწესებულება არ ფუნქციონირებს ავტორიზაციით განსაზღვრულ ფართში და გადავიდა იგივე შენობის მეექვსე სართულზე. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, მეიჯარის შპს -„ყაზბეგის 47“-მა მოთხოვა მათ მეორე სართულზე არსებული ფართის დატოვება. აღსანიშნავია, რომ ცენტრში ინფორმაცია ფართის შეცვლის თაობაზე დაწესებულების მიერ მოწოდებული არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ „ავტორიზაციის პერიოდში ცენტრის ინფორმირების წესების” შესაბამისად (ციტატა) *„საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სასწავლო ფართის ან მისამართის ცვლილების შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია ცენტრს წერილობით აცნობოს შეცვლილ*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019

*ფართში/მისამართზე საქმიანობის განხორციელების დაწყებამდე **30 კალენდარული დღით ადრე**, გარდა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შემთხვევებისა, რა დროსაც დაწესებულება ვალდებულია შეცვლილ ფართში/მისამართზე საქმიანობის განხორციელების დაწყების შესახებ ცენტრს აცნობოს დაუყოვნებლივ და წარუდგინოს ფართის მართლზომიერ მფლობელობაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.“*

ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა მეექვსე სართულის მფლობელთან - შპს საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ საბაკალავრო კოლეჯთან (ს/კ [redacted]) დადებული იჯარის ხელშეკრულება N 01/18. აღნიშნული ხელშეკრულება დათარიღებულია 2018 წელის 10 ოქტომბერით და ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ხელშეკრულების შესაბამისად, მოიჯარე იღებს დროებით სარგებლობაში ყაზბეგის 47, მე-6 სართულზე (ნაკვეთი 35/4, საკადასტრო კოდი [redacted]) მეიჯარის საკუთხებაში არსებული 1003,4 კვ.მ უძრავი ქონების ნაწილს ფართით 402,41 კვ.მ,საიდანაც 313,06 კვ.მ ძირითად ფართს წარმოადგენს, ხოლო **89,35- დამხმარე ფართია. (დანართი 10).**

აღნიშნული ხელშეკრულება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, მაშინ როდესაც რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, მე-5 პუნქტის შესაბამისად, კერძო სამართლის იურიდიული პირის მონაწილეობით 1 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლებების წარმოშობისათვის აუცილებელია მათი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. შესაბამისად აღნიშნული ხელშეკრულებით ვერ დასტურდება იჯარის უფლება და <u>ის ვერ ჩაითვლება ფართის ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტად.</u>

ხარვეზი 3

- *<u>შპს-წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯი 2018 წლის 10 ოქტომბრიდან დღემდე სასწავლო პროცესს ახორციელებს, იმ ფართზე სადაც ავტორიზაცია არ გაუვლია ვინაიდან შეიცვალა ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ივლისის N16 გადაწყვეტილებებით განსაზღვრული ფართი (ალ.ყაზბეგის N47, მეორე სართული) და გადავიდა იგივე შენობის მეექვსე სართულზე, ხოლო ფართის შეცვლის თაობაზე არ აცნობა ცენტრს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერის Nბრძანება №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების და საფასურის", მუხლი 302 „ავტორიზაციის პერიოდში ცენტრის ინფორმირების წესებით" დადგენილ ვადებში.*</u>

ხარვეზი 4

- *<u>შპს-წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ 2018 წლის 10 ოქტომბერს შპს საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ საბაკალავრო კოლეჯთან დადებული იჯარის ხელშეკრულება, რომელიც ძალაშია 2022 წლის 31</u>*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>დეკემბრის ჩათვლით, არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში,რითიც დარღვეულია რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, მე-5 პუნქტი, რომლის შესაბამისად, კერძო სამართლის იურიდიული პირის მონაწილეობით 1 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლებების წარმოშობისათვის აუცილებელია მათი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული ხელშეკრულებით ვერ დასტურდება იჯარის უფლება და ის ვერ ჩაითვლება ფართის ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტად.</u>

№	მისამართი	კვ.მ.
	ყაზბეგის 47, მეორე სართული	450 კვ.მ,

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი [redacted]
- დანართი 9 -ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (განცხადების N[redacted])
- დანართი 10 - შპს საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ საბაკალავრო კოლეჯთან დადებული იჯარის ხელსეკრულება N01/18, 2018 წელის 10 ოქტომბერი;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა დაათვალიერეს მე-6 სართულზე მდებარე ფართი. აღნიშნული ფართი წარმოადგენს დერეფნული სისტემის ნაგებობას, სადაც რამდენიმე ოთახი, იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად, დაწესებულების მფლობელობაშია, (სულ313,06 კვ.მ), დანარჩენი ოთახები შპს საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ საბაკალავრო კოლეჯის საკუთრებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019

წარმოადგენს. ასევე არის საერთო სარგებლობის ფართი - სველი წერტილები და დერეფანი - 89,35 კვ.მ. ექსპერტების მიერ ფართის ვიზუალური დათვალიერებისას, დაწესებულების წარმომადგენლებმა მიუთითეს ის ოთახები, რომელიც მათ მფლობელობაშია. თუმცა აღნიშნული ფაქტი არანაირი ოფიციალური დოკუმენტით არ დასტურდება, მათ შორის იჯარის ხელშეკრულებითაც. ფართის გამიჯვნის დასადასტურებლად დაწესებულებამ წარმოადგინა ევაკუაციის გეგმა და ხელით დაწერილი ფურცელი, სადაც მინიშნებული იყო დაწესებულების მფლობელობაში არსებული ოთახები. *<u>სხვა, უფრო დამაჯერებელი მტკიცებულებები წარმოდგენილი არ იყო.</u>*

მონიტორინგის შემდეგი ეტაპი დაეთმო დაწესებულების მატერიალური რესურსის ვიზუალურ დათვალიერებას და მისი ფლობის/საკუთრების დოკუმენტაციის შემოწმებას. თავდაპირველად, მატერიალური რესურსის ფლობის/საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოწოდებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რემონტის გამო დოკუმენტების მოძიება შეუძლებელია, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ წარმოდგენილი იყო შემდეგი დოკუმენტები:

- <u>მატერიალური რესუსრის თხოვების ხელშეკრულება</u> (17 ივლისი 2014 წელი), რომლის შესაბამისად წმიდა ილია მართლის თბილისის ეროვნული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დროებითი სარგებლობის უფლებით 2024 წლის 21 დეკემბრამდე, შპს წმიდა ილია მართლის თბილისის საზოგადიებრივ კოლეჯს გადაეცა სასწავლო ინვენტარი კერძოდ: ციტატა „....მერხები, სკამები, დაფები, მაგიდები, კომპიუტერული ტექნიკა, საინფორმაციო-ტექნოლოგიების ცენტრი“. ხელშეკრულებას თან ერთვის იგივე შინაარსის მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი 11). როგორც ხელშეკრულებაში, ასე მიღება-ჩაბარების აქტში არ არის დაკონკრეტებული გადმოცემული სასწავლო ინვენტარის სახე, ტიპი, რაოდენობა. შესაბამისად აღნიშნული დოკუმენტით ვერ დასტურდება მატერიალური რესურსის ფლობა.
- <u>მიღება-ჩაბარების აქტი</u> (12 ოქტომბერი, 2018 წ), რომლის შესაბამისად საქართველოს ჰუმანიიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯმა შპს წმიდა ილია მართლის თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯს იჯარით, 3 წლის ვადით, გადასცა კომპიუტერული ტექნიკის კომპლექტი: 14 კომპიუტერი, 1 პრინტერი, კომპიუტერების მაგიდა- 13 ცალი; მაგიდა- 2 ცალი, სკამი-15 ცალი, სეიფი, ხის ტუმბო, საქაღალდე ურნა. (დანართი 12). აღნიშნული დოკუმენტის ნამდვილობა იწვევს ეჭვს, ვინაიდან მასზე ორივე მხარეა მითითებული და არის მხოლოდ ერთი მხარის - შპს წმიდა ილია მართლის თბილისის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის მოადგილის ხელმოწერა. ამ შემთხვევაშიც წარმოდგენილი დოკუმენტი ვერ ჩაითვლება მატერიალური რესურსი ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტად.

ხარვეზი 5:

- *<u>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით კერძოდ: წმიდა ილია მართლის თბილისის ეროვნული სასწავლო უნივერსიტეტთან 2014 წლის 17 ივლისს გაფორმებული მატერიალური რესურსის თხოვების ხელშეკრულებით და 2018 წლის 12 ოქტომბერს საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით არ დასტურდება ამ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის ფლობა და სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი.</u>*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დანართი 11 მატერიალური რესურსის თხოვების ხელშეკრულება და მიღება ჩაბარების აქტი (17 ივლისი 2014 წელი);
- დანართი 12 - კომპიუტერული ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტი (12 ოქტომბერი, 2018 წ);
- ვიზუალური დათვალიერება;
- დაწესებულების წარმომადგენლების ინტერვიუირება.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვიზუალური დათვალიერებით შენობის მეექვსე სართულზე არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საერთო სარგებლობის გამიჯნული სველი წერტილები მამაკაცებისა და ქალბატონებისთვის (სადაც ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა რემონტი); 1 სველი წერტილი შშმ პირებისთვის, რომლის დათვალიერება და შეფასება ვერ მოხერხდა, ვინაიდან იყო დაკეტილი. ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. გადასახადები და ქვითრები დაწესებულებას არ წარმოუდგენია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში შემუშავებულია „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები“, რომელიც ასევე განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე (http://iliacollege.ge/archives/62).

ვიზიტის პერიოდში ვერ მოხერხდა, ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილი ფართის და საბიბლიოთეკო ფონდის ვიზუალური დათვალიერება, ვინაიდან მიმდინარეობდა რემონტი. დაწესებულების წარმომადგენლებმა მიუთითეს ერთერთი ოთახი, სადაც ვარაუდობენ ბიბლიოთეკის განთავსდებას. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, მათი საბიბლიოთეკო ფონდი საკმაოდ მდიდარია, მასში სრულად არის წარმოდგენილი პროგრამების სასწავლო კურსებში (სილაბუსებში) მითითებული ლიტერატურა. თუმცა დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტაცია, წიგნების კატალოგი, საინვენტარო წიგნი, საიდანაც გაირკვეოდა რა სახის ლიტერატურას მოიცავს საბიბლიოთეკო ფონდი, შეესაბამება თუ არა ის საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში მითითებულს.

ნიმუშის სახით წარმოდგენილი იყო 3 საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული წიგნი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თბილისი, 2019

ექსპერტებმა გადაამოწმეს საბიბლიოთეკო ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. წარმოდგენილი იყო წმიდა ილია მართლის თბილისის ეროვნული სასწავლო უნივერსიტეტისა და დაწესებულებას შორის 2011 წლის 15 აგვისტოს დადებული <u>თხოვების ხელშეკრულება,</u> რომლის შესაბამისად, შპს წმიდა ილია მართლის თბილისის საზოგადიებრივ კოლეჯს გადაეცა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სრული წიგნადი და ელექტრონული ფონდი დროებით უსასყიდლო სარგებლობის უფლებით 2021 წლის 21 დეკემმბრამდე, წარმოდგენილი იყო ასევე მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი 13). ექსპერტების მიერ ხელშეკრულებასა და მიღება-ჩაბარების აქტის შესწავლისას გამოირკვა, რომ ჩანაწერი, ლიტერატურის გადაცემის შესახებ, ატარებს ზოგად ხასიათს, არ არის დაკონკტრეტებული ლიტერატურის დასახელება, მისი რაოდენობა.

ხარვეზი 6

- *<u>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალებით ვერ დასტურდება, საბიბლიოთეკო ფონდში არსებული ლიტერატურის ჩამონათვალი, ბიბლიოთეკის ფონდის (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურასთან.</u>*

<u>დასტურდება</u> (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები“ http://iliacollege.ge/archives/62შეფასება;
- დანართი 13 - თხოვების ხელშეკრულება წიგნადი ფონდის გადაცემის შესახებ (2011 წლის 15 აგვისტო).

შეფასება

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ექსპერტემის მიერ დაწესებულების ვიზიალური დათვალიერების შედეგად გამოვლინდა შემდეგი:

კომპიუტერულ კლასში განთავსებულია 13 კომპიუტერი, ხოლო ადმინისტრაციისთვის განკუთვნილ ოთაახში - 2 კომპიუტერი და კომბაინი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019

დოკუმენტით არ დასტურდება აღნიშნული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობა (იხ. წინარე დასკვნის 2.1, ბ) ნაწილი) (დანართი 12).

ექსპერტების აზრით, შეუძლებელია დასკვნის გაკეთება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოიყენების შესახებ როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.

ხარვეზი 7:

- *<u>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, არ დასტურდება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობა, შესაბამისად ქვესტანდარტის მოთხოვნა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში ვერ დასტურდება.</u>*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დანართი 12 - კომპიუტერული ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტი (12 ოქტომბერი, 2018 წ);
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში შემუშავებულია დირექტორის 2017 წლის 28 აპრილის N04003 ბრძანებით

დამტკიცებული "საქმის წარმოების წესი", რომელიც შემუშავებულია საქართველოს პრეზიდენტის

1999 წლის 1 ივლისის N414 ბრძანებულების საფუძველზე. დოკუმენტში შემდეგი წესებია

აღწერილი:

- შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესი;
- დირექტორის ბრძანებების რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესი;
- სტუდენტთა მოძრაობის ბრძანებების რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესი;
- ხელშეკრულებების (სტუდენტები, მოწვეული პროფესიული განათლების მასწავლებლები, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი), რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესი;
- დიპლომების რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- შიდა მოძრაობის დოკუმენტების (განცხადებები, მოხსენებითი ბარათები, წარდგინებები, მიმართვები, რეკომენდაციები და ა.შ) რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესი;
- დოკუმენტების შედგენა, გაფორმება;
- დოკუმენტებზე სარეგისტრაციო ინდექსის მინიჭება და ბეჭდების გამოყენება;
- არქივი.

"საქმის წარმოების წესი" ითვალისწინებს სხვადასხვა სახის ჟურნალების წარმოებას, კერძოდ: შემოსული კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალი; გასული კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალი; დირექტორის ბრძანებების რეგისტრაციისა და აღრიცხვის ჟურნალი; სტუდენტთა მოძრაობის ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; ხელშეკრულებების რეგისტრაციისა და აღრიცხვის ჟურნალი; დიპლომების რეგისტრაციისა და აღრიცხვის ჟურნალი.

ექსპერტები შეამოწმეს დაწესებულებაში საქმის წარმოების, გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვის პრაქტიკა.

"საქმისწარმოების წესში" აღწერილი ყველა ჟურნალი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არ იყო. ისევ რემონტის გამო. ექსპერტებმა დაათვალიერეს შემოსული კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალი; გასული კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალი; დირექტორის ბრძანებების რეგისტრაციისა და აღრიცხვის ჟურნალი; ხელშეკრულებების რეგისტრაციისა და აღრიცხვის ჟურნალი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- "საქმისწარმოების წესი" (დამტკიცებულია დირექტორის 2017 წლის 28 აპრილის N04003 ბრძანებით;
- სარეგისტრაციო ჟურნალები;
- დაწესებულების წარმომადგენლების ინტერვიუირება.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ექსპერტების ვიზიტის დროს დაწესებულებას არ წარმოუდგენია დოკუმენტი, სადაც აღწერილი იქნებოდა პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მექანიზმები და რომელიც გარკვეულწილად დაადასტურებდა ამ მექანიზმების არსებობას დაწესებულებაში.

ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმების დასადასტურებლად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო 1 ცეცხლმაქრი და კედელზე გამოკრული ევაკუაციის გეგმა, რომელიც ექსპერტებმა არ ჩათვალეს სანდო მტკიცებულებად, ვინაიდან ის არ იყო შემუშავებული და დამტკიცებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ, გეგმაზე იყო დირექტორის ხელმოწერა.

ვერ დასტურდება ასევე სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების არსებობა. ვიზიტის პერიოდში <u>არ იყო საჭირო სამედიცინო ხელსაწყოებითა და მედიკამენტებით მოწყობილი აღჭურვილი სამედიცინო ოთახი ან კუთხე, ასევე არ არის გამოყოფილი ექიმის/ექთანის შტატი.</u> დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ რემონტის შემდეგ მოაწყობენ სამედიცინო კუთხეს, ხოლო რაც შეეხება ექიმის/ექთანის შტატს, კოლეჯის დირექტორი ცნობილი ექიმია და საჭიროების შემთხვევაში მას შეუძლია სამედიცინო დახმარების გაწევა. თუმცა ექსპერტებმა <u>დირექტორის სამუშაო აღწერილობაში ვერ აღმოაჩინეს აღნიშნული, დამატებითი ფუნქციის შესახებ ჩანაწერი.</u>

ხარვეზი 8:

- *<u>ვიზუალური დათვალიერებისა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე არ დასტურდება ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების არსებობა, კერძოდ ევაკუაციის გეგმა არ არის შემუშავებული და დამტკიცებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ; არ არის მოწყობილი სამედიცინო ოთახი/კუთხე, გამოყოფილი სამედიცინო პერსონალი,</u>*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019

- ვიზუალური დათვალიერება;
- დაწესებულების წარმომადგენლების ინტერვიუირება.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვიზუალური დათვალიერებით გამოვლინდა შემდეგი: შენობის შემოსასვლელში რამდენიმე საფეხურია და მოწყობილია ლითონის პანდუსი, რელსების სახით, მეექვსე სართულზე ასვლა შესაძლებელია ლიფტით.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლებმა მიუთითეს ერთერთ ოთახხს, სადაც მათი განმარტებით, საერთო სარგებლობის ადაპტირეული სველი წერტილი იყო განლაგებული. აღნიშნული სველი წერტილი ვიზიტის პერიოდში იყო დაკეტილი, მისი გაღება და შემოწმება ვერ მოხერხდა,

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერება;
- დაწესებულების წარმომადგენლების ინტერვიუირება.

შეფასება: **<u>ქვესტანდარტი ვერ შეფასდა.</u>**

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თბილისი, 2019

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებგვერდის მისამართია -http://iliacollege.ge/. ვებ გვერდი ოთხენოვანია- ქართული, ინგლისური, გერმანული, რუსული. შემოწმებისას, რუსული ვერსია არ ფუნქციონირებდა. ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია პროგრამების შესახებ, დაწესებულების სტრუქტურა, კოლეჯის მისია, სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი 2017-2018 გეგმები, კოლეჯის დებულება და **შინაგანაწესი,** საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა.

ვებ გვერდის შესწავლის შედეგად, ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ვებ გვერდი არ არის განახლებადი, ბოლო ინფორმაცია 2 წლის წინ არის ატვირთული (2017 წლის ივნისში).

ვებ გვერდზე წარმოდგენილი ინფორმაციიის ნაწილი არ შეესაბამება რეალობას და შეცდომაში შემყვანია (დანართი 14), კერძოდ: მთავარ გვერდზე, თარიღის მითითების გარეშე, განთავსებულია ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ კოლეჯში დაიწყო ჩარიცხვა „პრესტიჟულ და მოთხოვნად სპეციალობებზე“ და წარმოდგენილია საგნობრივი პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც კოლეჯი ახორციელებდა. აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 39, პუნქტი 1² შესაბამისად, 2019 წლიდან „ .... კოლეჯი/საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილი არ არის, ჩარიცხოს ახალი პროფესიული სტუდენტები ამ პროგრამაზე".

ხარვეზი 9:

- *<u>დაწესებულების ვებგვერდი არ არის განახლებადი, ბოლო ინფორმაცია 2 წლის წინ არის დაფიქსირებული, ვებგვერდზე წარმოდგენილი ინფორმაციია, თარიღის მითითების გარეშე, კოლეჯში საგნობრივ პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების შესახებ, არის მცდარი და შეცდომაში შემყვანი.</u>*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დანართი 14 - ვებგვერდის PrtSc 2019 წლის 4 სექტემბრის მდგომარეობით
- დაწესებულების ვებგვერდი <u>http://iliacollege.ge/</u>

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში შემუშავებულია გრძელვადიანი (ექვსწლიანი) 2017-2023 წწ. და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, ვებგვერდზე განთავსებულია კოლეჯის 2017 – 2018 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. ვიზიტის დროს წარმოდგენილი იყო 2019 – 2020 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. (დანართი 15).

„წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის 2019 - 2020 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის“. პირველ ნაწილში წაროდგენილია კოლეჯის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები 2019-2020 სასწავლო წლის განმავლობაში: კოლეჯის მისია; კოლეჯის მიზნები; ხოლო მეორე ნაწილი ეთმობა კოლეჯის მისიის, მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად 2019-2020 სასწავლო წელს შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალს და დაგეგმილი სამუშაოების შეფასებას. აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმაში არ არის მითითებული სამუშაოების შესრულების ვადები, საჭირო რესურსები, პასუხისმგებელი პირები და ინდიკატორები. ხოლო „დაგეგმილი სამუშაოების შეფასების“ ნაწილში აღწერილია პროფესიულ და აკადემიურ განათლებას შორის განსხვავება, პროფესიული განათლების მნიშვნელოვანი როლი, დამსაქმებელთა ასოციაციასთან კონსულტაციების გამართვა; დასაქმების ბაზრის შესწავლა და დამსაქმებელთაგან რეკომენდაციების მიღება. აღნიშნულ ინფორმაციას არანაირი კავშირი არ აქვს „დაგეგმილი სამუშაოების შეფასებისთან“. წარმოდგენილი ინფორმაცია ამ ნაწილის დანიშნულების შეუსაბამოა. გეგმაზე არ არის მითითებული დამტკიცების თარიღი.

2018-2019 წლების გეგმა მოწოდებული არ იყო, ასევე არ იყო წარმოდგენილი სამოქმედო გეგმების შესრულების წლიური ანგარიშები.

<u>2017-2018 და 2019-2020 წწ. სამოქმედო გეგმების ანალიზმა აჩვენა, რომ ისინი თავისი შინაარსით იდენტურია, განსხვავებაა მხოლოდ წლებში. სამოქმედო გეგმაში არ არის მითითებული სამუშაოების შესრულების ვადები, საჭირო რესურსები, პასუხისმგებელი პირები და ინდიკატორები. გეგმებში წარმოდგენილი დაგეგმილი სამუშაოების შეფასების მეთოდოლოგია შეუსაბამოა და მას არანაირი კავშირი არ არ აქვს დაგეგმილი სამუშაოების შეფასებისთან. არ არის წარმოდგენილი სამოქმედო გეგმების შესრულების წლიური ანგარიშები.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თბილისი, 2019

რეკომენდაცია:

- *<u>გადაიხედოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, გეგმებში წარმოდგენილი იყოს სამუშაოების შესრულების ვადები, საჭირო რესურსები, პასუხისმგებელი პირები და ინდიკატორები, ასევე დაგეგმილი სამუშაოების შეფასების მეთოდოლოგია; შემუშავდეს სამოქმედო გეგმების შესრულების წლიური ანგარიშები.</u>*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დანართი 15 -2019 – 2020 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.
- დაწესებულების ვერგვერდზე განთავსებული სტრატეგიული და სამოქმედოო გეგმები.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობებთან ვერ შეფასდა, ვინაიდან დაწესებულებას არ აქვს გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. თუმცა, პროფესიული მასწავლებლების მიმართ აქვს მოთხოვნები გაწერილი. "წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის შინაგანაწესის" მუხლი 5-ში გაწერილია ადმინისტრაციული პერსონალის მიღების პროცედურა და წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი. დაწესებულების პერსონალი დანიშნულია დირექტორის 2017 წლის 28 აპრილის N 01/002 ბრძანებით. სამსახურში პერსონალი ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ავტობიოგრაფია ან CV;
- განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.
- ერთი ფოტოსურათი 3/4.

ვიზიტის დროს გადამოწმდა ყველა თანამშრომლის პირადი საქმე. პირად საქმეებში არსებული დოკუმენტაცია ძირითადად მოწესრიგებულია, თუმცა გვხდება ცალკეული შეუსაბამობანი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კერძოდ: ერთი თანამშრომლის პირად საქმეში არ იყო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ზოგიერთ პირად საქმეში არ იყო ფოტო, ორ მათგანში იყო ვადაგასული პირადობის მოწმობების ასლები.

რეკომენდაცია:

- *დაწესებულებამ გაწეროს ადმინისტრაციული პერსონალის მიმართ საკვალიფიკაციო მოთხოვნები;*
- *გადახედოს პირად საქმეებს და შეავსოს ისინი საჭირო დოკუმენტებით.*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- "წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის შინაგანაწესი" დირექტორის 2017 წლის 28 აპრილის N 01/002 ბრძანება პერსონალის დანიშვნის შესახებ;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პერსონალის პირადი საქმეები.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება განსახორციელებელი საგნების შინაარსს. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მასწავლებელთა პირადი საქმეები.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას გაწერილი აქვს პროფესიული მასწავლებლების მიმართ საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მიღების წესი, მიღების დროს წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი. ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები და მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ პოზიციებს.
დაწესებულებას პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებებიკანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შინაგანაწესი.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1.	ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი 2	პროფესიული სტუდენტის საწარმო პრაქტიკის დღიური.
დანართი 3	დირექტორის 2018 წლის 8 ოქტომბრის N02/007 ბრძანების კოლეჯში პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხვის შესახებ;
დანართი 4	დირექტორის 2019 წლის 30 მაისის N02/005 ბრძანება, რომლის საფუძველზე შეიქმნა „საკვალიფიკაციო-საგამოცდო კომისია 2018-2019 სასწავლო წლის სხვადასხვა სპეციალობის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის მისანიჭებლად
დანართი 5	რეესტრის მონაცემები (03.09.2019 წლის მდგომარეობით);
დანართი 6	რეესტრის მონაცემები (04.09.2019 წლის მდგომარეობით);
დანართი 7	დირექტორის 2019 წლის 1 აპრილის N02/001 ბრძანება პროფესიული სტუდენტებისთვის სტატუსი შეჩერების შესახებ;
დანართი 8-	კითხვარები, დასკვნა პროფესიულ სტუდენტტა კითხვარებზე.
დანართი 9	ამონაწერი საჯარი რეესტრიდან (განცხადების N882017454509)
დანართი 10	შპს საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ საბაკალავრო კოლჯთან დადებული იჯარის ხელსეკრულება N01/18, 2018 წელის 10 ოქტომბერი;
დანართი 11	მატერიალური რესურსის თხოვების ხელშეკრულება და მიღება ჩაბარების აქტი (17 ივლისი 2014 წელი);
დანართი 12	კომპიუტერული ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტი (12 ოქტომბერი, 2018 წ);
დანართი 13	თხოვების ხელშეკრულება წიგნადი ფონდის გადაცემის შესახებ (2011 წლის 15 აგვისტო).
დანართი 14	ვებგვერდის PrtSc 2019 წლის 4 სექტემბრის მდგომარეობით
დანართი 15	2019 – 2020 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

08.10.2019

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019